

შპს „აკა“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის,

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	14
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	23
5 ძირითადი საშუალებები	25
6 მარაგები	26
7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
8 ფული და ფული ეკვივალენტები	27
9 საწესდებო კაპიტალი	27
10 გადახდილი ავანსები	27
11 მიღებული სესხები	28
12 მიღებული ავანსები	29
13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
14 შემოსავლები	29
15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	30
16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	30
17 მიწოდების ხარჯები	31
18 ფინანსური შემოსავლები	31
19 ფინანსური ხარჯები	31
20 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	31
21 ფინანსური ინტრუმენტები	32
22 ფინანსური რისკების მართვა	32
23 კაპიტალის რისკის მართვა	35
24 გაუთვალისწინებელი გარემოებები	36
25 დაკავშირებული მხარეები	36
26 შესადარისი ფინანსური ანგარიშების გადაანგარიშება	38
27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	39
28 მმართველობითი ანგარიშგება	40

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აკას“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აკას“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეტვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით,

რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებების შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა,

ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯიას“ სახელით

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

30 ოქტომბერი 2024

ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯიას“ სახელით

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

30 ოქტომბერი 2024



შპს „აკა“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში
 (ათას ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ.	12/31/2023	12/31/2022 გადაანგარიშებული	01/01/2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	35,102	35,987	37,096
არამატერიალური აქტივები		136	134	127
სულ გრძელვადიანი აქტივები		35,238	36,121	37,223
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	36,638	28,199	7,316
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	3,017	663	1,554
გადახდილი ავანსები	10	530	441	400
საგადასახადო აქტივები		1,550	918	-
სხვა მიმდინარე აქტივები		81	81	1,613
ფული და ფულის ექვივალენტები	8	16,494	7,085	15,175
სულ მიმდინარე აქტივები		58,310	37,387	26,058
სულ აქტივები		93,548	73,508	63,281
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	794	794	794
სარეზერვო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი	9	17,476	17,476	17,476
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	9	62,370	32,329	16,509
სულ კაპიტალი		80,640	50,599	34,779
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	2,165	5,011	6,504
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,165	5,011	6,504
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	562	2,409	779
მიღებული სესხები	11	1,488	4,327	7,756
მიღებული ავანსები	12	8,693	11,162	13,463
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,743	17,898	21,998
სულ ვალდებულებები		12,908	22,909	28,502
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		93,548	73,508	63,281

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2024 წლის 30 ოქტომბერს:

ხელმოწერი პირები:
 დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-39 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „აკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში
(ათას ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ.	12/31/2023	12/31/2022 გადაანგარიშებული	01/01/2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	35,102	35,987	37,096
არამატერიალური აქტივები		136	134	127
სულ გრძელვადიანი აქტივები		35,238	36,121	37,223
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	36,638	28,199	7,316
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	3,017	663	1,554
გადახდილი ავანსები	10	530	441	400
საგადასახადო აქტივები		1,550	918	-
სხვა მიმდინარე აქტივები		81	81	1,613
ფული და ფულის ექვივალენტები	8	16,494	7,085	15,175
სულ მიმდინარე აქტივები		58,310	37,387	26,058
სულ აქტივები		93,548	73,508	63,281
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	794	794	794
სარეზერვო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი	9	17,476	17,476	17,476
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	9	62,370	32,329	16,509
სულ კაპიტალი		80,640	50,599	34,779
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	2,165	5,011	6,504
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,165	5,011	6,504
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	562	2,409	779
მიღებული სესხები	11	1,488	4,327	7,756
მიღებული ავანსები	12	8,693	11,162	13,463
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,743	17,898	21,998
სულ ვალდებულებები		12,908	22,909	28,502
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		93,548	73,508	63,281

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2024 წლის 30 ოქტომბერს:

ხელმოწერილი პირები:
დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-39 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „აკა“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ.	2023	2022 გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	212,267	131,952
რეალიზებული პრიდუქციის თვითღირებულება	15	(166,339)	(104,440)
საერთო მოგება		45,928	27,512
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(10,386)	(8,469)
მიწოდების ხარჯები	17	(617)	(443)
საოპერაციო მოგება		34,925	18,600
ფინანსური შემოსავლები	18	429	66
ფინანსური ხარჯები	19	(1,192)	(883)
არასაოპერაციო შემოსავლები		391	223
არასაოპერაციო ხარჯები		(45)	(74)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	20	(566)	1,395
სხვა საგადასახადო ხარჯები		(292)	(457)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		33,650	18,870
მოგების გადასახადი		(66)	(27)
წლის მოგება		33,584	18,843
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება		33,584	18,843

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2024 წლის 30 ოქტომბერს:

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-39 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „აკა“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ.	2023	2022 გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	212,267	131,952
რეალიზებული პრიდუქციის თვითღირებულება	15	(166,339)	(104,440)
საერთო მოგება		45,928	27,512
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(10,386)	(8,469)
მიწოდების ხარჯები	17	(617)	(443)
საოპერაციო მოგება		34,925	18,600
ფინანსური შემოსავლები	18	429	66
ფინანსური ხარჯები	19	(1,192)	(883)
არასაოპერაციო შემოსავლები		391	223
არასაოპერაციო ხარჯები		(45)	(74)
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	20	(566)	1,395
სხვა საგადასახადო ხარჯები		(292)	(457)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		33,650	18,870
მოგების გადასახადი		(66)	(27)
წლის მოგება		33,584	18,843
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება		33,584	18,843

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2024 წლის 30 ოქტომბერს:


ხელმოწერი პირები:

დირექტორი:





მთავარი ბუღალტერი:



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-39 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „აკა“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში
 (ათას ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	აქტივის გადაფასების რეზერვი	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	794	16,509	17,476	34,779
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
წლის მოგება	-	18,843	-	18,843
გამოცხადებული დივიდენდი	-	(3,023)	-	(3,023)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	15,820	-	15,820
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	794	32,329	17,476	50,599
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
წლის მოგება	-	33,584	-	33,584
გამოცხადებული დივიდენდი	-	(3,543)	-	(3,543)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	30,041	-	30,041
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	794	62,370	17,476	80,640

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-39 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „აკა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023	2,022
მოგება დაბეგვრამდე	33,650	18,870
კორექტირებები		
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯი	1,267	1,216
ფინანსური ხარჯი	1,192	883
ფინანსური შემოსავალი	(429)	(66)
დებიტორული დავალიანების რეზერვი	121	1,051
წმინდა ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	566	(1,395)
მოგების გადასახადის ხარჯი	(66)	(27)
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	36,301	20,532
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაში	(8,439)	(20,883)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	-	1,532
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(2,354)	891
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(89)	(41)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,847)	1,630
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	(631)	(918)
ცვლილება მიღებულ ავანსებში	(2,469)	(2,301)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები	(15,829)	(20,090)
გადახდილი პროცენტი	(764)	(625)
გადახდილი მოგების გადასახადი	66	27
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	19,774	(156)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(383)	(159)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(5)	(7)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(388)	(166)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	-	4,233
მიღებული სესხების დაფარვა	(5,868)	(7,652)
გადახდილი დივიდენდი	(3,543)	(3,023)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(9,411)	(6,442)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(566)	(1,326)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	9,409	(8,090)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7,085	15,175
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასასრულს	16,494	7,085

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-39 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „აკა“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1996 წლის 08 იანვარს და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, უნივერსიტეტის ქ. N6. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 5/4-311 და საიდენტიფიკაციო კოდი: 204875082.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

სალომე ასათიანი (პ/ნ 01008006086) 27%

მაკა ასათიანი (პ/ნ 01008002500) 27%

ლუიზა თავართქილაძე (პ/ნ 01008000740) 46%

კომპანიის გენერალურ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - გიორგი ტყეშელაშვილი (პ/ნ 01024090974).

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საცალო ყიდვა- გაყიდვა ახალი და მეორადი ავტომობილებით და ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. საქართველოს მასშტაბით კომპანია ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს სამი დამფუძნებელი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი, რომლის შენატანი ფულადი ფორმით არის განხორციელებლი, შეადგენს 794 ათას ლარს.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც აღრიცხულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.5 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის განმარტება 2 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვრა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;

- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;
- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში - ინვესტორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,6894 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2,9753 (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი, ერთი ევრო 2,8844). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა.
- გარიგების ფასის განსაზღვრა.
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ახალი ავტომობილების რეალიზაცია;
- ავტომობილების ნაწილების რეალიზაცია;
- მეორადი ავტომობილების რეალიზაცია.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს ავტომობილებისა და ავტონაწილების რეალიზაცია წარმოადგენს. იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შემოსავალი აღიარდება გარკვეული მომენტისთვის ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, დაპირებული საქონლის და მომსახურების მომხმარებელზე გადაცემით. კომპანიის შემოსავლის მიღების ძირითადი წყაროებია:

- ა) ავტომობილის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი; და
- ბ) საკონსულტაციო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია ყიდის მანქანებს სტანდარტული გარანტიით, რომელსაც ანაზღაურებს ავტომობილის მწარმოებელი და მას არ უწევს დამატებითი მომსახურების გაწევა, ამიტომ გარანტიები არ განიხილება როგორც ავტომობილის გაყიდვის განცალკევებული შესასრულებელი ვალდებულება. ყველა შემთხვევაში აღწერილი შემოსავლის წყარო აღიარებულია შემოსავლად დროის გარკვეული მომენტისათვის.

3.3 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება

აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

3.4 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და მშენებარე აქტოვებს ცვეთა არ ერიცხება. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების

თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
ინვენტარი და აღჭურვილობა	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	10
არამატერიალური აქტივები	10
მანქანა-დანადგარები	10

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

გაუფასურება იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 16-ს.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული

შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

3.7 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანუ ღირებულება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუ ღირებულება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუ ღირებულება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების

ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდით.

3.9 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.10 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-

ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.12 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშშორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესხება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.14 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადებულია საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე ავტორიზაციამდე, წარმოდგენილია მომდევნო მოვლენების შენიშვნაში.

3.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შევბულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის

მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „აკა“
2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში
(ათას ლარში)

5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>						
2022 წლის 1 იანვარი	20,018	15,327	1,792	1,579	966	39,682
შემოსვლა	-	97	9	53	-	159
კორექტირება	-	(106)	(6)	163	(118)	(67)
2022 წლის 31 დეკემბერი	20,018	15,318	1,795	1,795	848	39,774
შემოსვლა	-	-	14	156	216	386
გასვლა	-	-	-	(4)	-	(4)
2023 წლის 31 დეკემბერი	20,018	15,318	1,809	1,947	1,064	40,156
<i>დაგროვილი ცვეთა</i>						
2022 წლის 1 იანვარი	-	(1,764)	(343)	(342)	(136)	(2,585)
წლის ცვეთა	-	(767)	(202)	(173)	(74)	(1,216)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	2	18	(36)	30	14
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(2,529)	(527)	(551)	(180)	(3,787)
წლის ცვეთა	-	(766)	(186)	(252)	(63)	(1,267)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(3,295)	(713)	(803)	(243)	(5,054)
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
2022 წლის 31 დეკემბერი	20,018	12,789	1,268	1,244	668	35,987
2023 წლის 31 დეკემბერი	20,018	12,023	1,096	1,144	821	35,102

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის. კომპანიის ვალდებულებები არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით. კომპანიას იპოტეკით აქვს დატვირთული შენობა-ნაგებობების ნაწილი.

ცვეთის ხარჯი დარიცხულია მოგება-ზარალის შენიშვნა 16-ში.

6 მარაგები

მარაგები	12/31/2023	12/31/2022
ა/მანქანები	31,132	22,768
მარკეტი	9	7
ა/ნაწილები	4,478	4,568
სპეც. ინსტრუმენტები სააქმროსთვის	3	3
სატვირთოს ინსტრუმენტები	33	26
ბარი	8	4
მცირეფასიანი ინვენტარი	6	3
დამატებითი ხარჯები	322	200
სპეციალური ინსტრუმენტები სააქმროსთვის	563	549
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	84	71
სულ მარაგები	36,638	28,199

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი რაოდენობის გასაყიდად გამიზნული მარაგები. ძირითადად ეს მარაგები წარმოადგენენ მარაგ-ნაწილებს, გასაყიდ ავტომობილებსა და საავტომობილო ზეთებს. მარაგების მნიშვნელოვან ნაწილს ასევე წარმოადგენს სპეციალურ ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება FIFO მეთოდი. სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო და სამართლიან ღირებულებების შორის სხვაობა არაა.

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი. კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი. მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2023 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 166,339 ათასს ლარს.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
მოთხოვნები მიწოდებიდან	2,907	587
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,002	1,127
ანარიცხი	(892)	(1,051)
	3,017	663.27
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
გადახდილი ავანსები	-	-
საგადასახადო აქტივები	-	-
სხვა	-	-
	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,017	663

შპს „აკა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

მოთხოვნების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მოთხოვნები საგარანტიო და სადაზღვეო კონტრაქტებზე გაწეული მომსახურებებიდან და ასევე სხვადასხვა გრძელვადიანი კონტრაქტების შესრულებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები. მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

8 ფული და ფული ეკვივალენტები

გადახდილი ავანსები	12/31/2023	12/31/2022
ფული სალაროში	18	19
ფული ბანკში	16,500	7,092
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	16,518	7,111

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 794 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში მისი ცვლილება არ მომხდარა.

2023 წელს მოგებამ შეადგინა 33,584 ათასი ლარი. კომპანიამ გასცა დივიდენდი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2023 წლის 31 დეკემბერს 80,640 ათასი ლარი შეადგინა.

10 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	12/31/2023	12/31/2022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	530	441
სულ ავანსები	530	441

გადახდილი ავანსები წარმოადგენს სავაჭრო პარტნიორებთან და მომსახურეობის გამწვევ პირებთან წინსწრებით გადარიცხულ ავანსებს.

შპს „აკა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

11 მიღებული სესხები

სესხები	12/31/2023	12/31/2022
მოკლევადიანი სესხები	1,488	4,327
გრძელვადიანი სესხები	2,165	5,011
სულ სესხები	3,653	9,338

2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიას აქვს სამი სასესხო ვალდებულება, სამივე წარმოადგენს სს საქართველოს ბანკიდან მიღებულ სესხს უცხოურ ვალუტაში. სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ შენობა-ნაგებობებით. სესხებზე წლიური საპროცენტო განსაზღვრულია არაუმეტეს 8%-სა.

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2022 წლის 1 იანვარი	6,504	7,756	14,260
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
სესხის აღება	-	4,233	4,233
სესხის დაფარვა	-	(7,652)	(7,652)
გადახდილი პროცენტი	-	(625)	(625)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
დარიცხული პროცენტი	-	625	625
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	1,240	(2,743)	(1,503)
რეკლასიფიკაცია	(2,733)	2,733	-
2022 წლის 31 დეკემბერი	5,011	4,327	9,338
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
სესხის აღება	-	-	-
სესხის დაფარვა	(2,872)	(2,996)	(5,868)
გადახდილი პროცენტი	-	(740)	(740)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
დარიცხული პროცენტი	-	740	740
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	2,419	(2,236)	183
რეკლასიფიკაცია	(2,393)	2,393	-
2023 წლის 31 დეკემბერი	2,165	1,488	3,653

მიღებული სესხები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

შპს „აკა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

12 მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები	12/31/2023	12/31/2022
მიღებული ავანსები	8,693	11,162
სულ მიღებული ავანსები	8,693	11,162

მიღებული ავანსები ავტომობილების შეკვეთებისათვის კლიენტების მიერ წინასწარ გადახდილ თანხებს წარმოადგენს. შეკვეთების უმრავლესობა 3-4 თვის განმავლობაში სრულდება, თუმცა გარკვეული კატეგორიის ავტომობილებზე შეკვეთის შესრულებამ შეიძლება მეტი დროც მოითხოვოს.

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12/31/2023	12/31/2022
საქონლისა და მომსახურების ადგილობრივი მომწოდებლები	365	93
საქონლისა და მომსახურების უცხოელი მომწოდებლები	3,596	5,761
გადასახდელი ხელფასი	35	(6)
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	7	7
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(3,441)	(3,444)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	562	2,409

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების უდიდეს ნაწილს საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოქმნილი კრედიტორული ვალდებულებები წარმოადგენს. კომპანიის უდიდესი კრედიტორია Mercedes Benz.

სავაჭრო ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

14 შემოსავლები

შემოსავალი	2023 წელი	2022 წელი
ახალი ავტომობილების რეალიზაცია	192,616	97,840
ავტომობილების ნაწილების რეალიზაცია	12,777	12,208
მეორადი ავტომობილების რეალიზაცია	1,048	2,198
შემოსავალი მომსახურებიდან	4,204	3,518
სხვა შემოსავალი	1,622	16,188
სულ შემოსავალი	212,267	131,952

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს ავტომობილების რეალიზაცია წარმოადგენს. მნიშვნელოვანია რომ წინა წელთან შედარებით ახალი ავტომობილების რეალიზაცია გაიზარდა, თუმცა მეორადი ავტომობილების რეალიზაცია შემცირდა, რასაც იწვევს მეორად ავტომობილებზე მოთხოვნის შემცირება და, შესაბამისად, ახალ ავტომობილებზე მოთხოვნის ზრდა.

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	2023 წელი	2022 წელი
გაყიდული / შეძენილი საქონელი	(166,339)	(101,858)
პირდაპირი ხელფასები	-	(2,571)
პირდაპირი ზედნადები ხარჯები	-	(11)
	(166,339)	(104,440)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების უდიდეს ნაწილს შეადგენს შეძენილი საქონლის ღირებულება.

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება	(5,202)	(4,578)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(1,217)	(1,210)
ბონუსის ხარჯის ანგარიში	(960)	(627)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(471)	(429)
შვებულების ხარჯის ანგარიში	(444)	(358)
თანამშრომლის სარგებელი	(184)	(106)
ფიზ.პირებისგან მიღებული მომსახურება	(115)	(74)
მივლინება	(93)	-
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	(92)	(75)
იჯარის ხარჯი	(76)	(76)
რეკლამაციაზე წარდგენილი ა/ნაწილები	(64)	(62)
ბიულეტენის ხარჯი	(16)	(26)
მომსახურების ხარჯი	-	(74)
დაცვის ხარჯი	-	(82)
საბანკო და საკომისიო ხარჯები	-	(200)
დაზღვევის ხარჯები	-	(78)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-	(91)
მივლინების ხარჯები	-	(35)
კომპიუტერის ხარჯები	-	(20)
საამქროს ხარჯი	-	(118)
სხვა საერთო ხარჯები	(1,342)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(110)	(150)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,386)	(8,469)

შპს „აკა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

კომპანიის უმთავრეს ხარჯს შეადგენს ხელფასები, ამორტიზაციისა და კომუნალური ხარჯები.

17 მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
რეკლამის მომსახურების ხარჯი	(354)	(321)
პრომო და სარეკლამო მასალის ხარჯი	(263)	(122)
სულ მიწოდების ხარჯები	(617)	(443)

18 ფინანსური შემოსავლები

ფინანსური შემოსავლები	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო შემოსავალი	60	62
სხვა შემოსავლები	369	4
სულ	429	66

19 ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო ხარჯი	(710)	(625)
გამოუქვითავი ხარჯები	(482)	(258)
სულ	(1,192)	(883)

კომპანიას აქვს დიდი მოცულობის სასესხო ვალდებულებები, ამიტომ მის ფინანსურ ხარჯებს საპროცენტო ხარჯები შეადგენს.

20 (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან

მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	2023 წელი	2022 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	2,334	6,179
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(2,900)	(4,784)
	(566)	1,395

21 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
<i>ამორტიზირებული ღირებულება</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,017	663
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	16,494	7,085
სულ ფინანსური აქტივები	19,511	7,749
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
<i>ამორტიზირებული ღირებულება</i>		
სესხები	3,653	9,338
იჯარები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	562	2,409
	4,215	11,747

22 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები**22.1 საბაზრო რისკი**

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანია ოპერაციების ძირითად ნაწილს ახორციელებს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება საზღვარგარეთ შესყიდვებს, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარშია ნომინირებული.

შპს „აკა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

ქვედა ცხრილში მოცემულია კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით:

2023 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	RUR
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	125	114,303	831
	125	114,303	831
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები		1,227,509	
	-	1,227,509	-
წმინდა პოზიცია	125	(1,113,206)	831
 2022 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	RUR
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	257	937,826	-
	257	937,826	-
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები		3,237,270	
	-	3,237,270	-
წმინდა პოზიცია	257	(2,299,444)	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით. შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
ვალდებულებები	კონტრაქტით	ეფექტური
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები		
ლარი	-	-
ევრო	8,3%	8,3%
დოლარი	-	-

22.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი დანავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

31 დეკემბერი 2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		13.50%		
6 თვეზე ნაკლები	-	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	562	1,488	-	2050
1-5 წლამდე	-	2,165	-	2165
5 წელზე მეტი	-	-	-	-
	562	3,653	-	4,215

31 დეკემბერი 2022	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		13.50%		
6 თვეზე ნაკლები	-	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	2,409	4,327	-	6,736
1-5 წლამდე	-	5,011	-	5,011
5 წელზე მეტი	-	-	-	-
	2,409	9,338	-	11,747

კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

23 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან, რომელიც ეკუთვნის მშობელი კომპანიის მფლობელებს და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებსაც იხილავთ შენიშვნა 9-ში.

შპს „აკა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გათვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოთიანი კაპიტალი	80,640	50,599
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(16,494)	(7,085)
კაპიტალი	64,146	43,513
მოთიანი კაპიტალი	80,640	50,599
სესხები	3,653	9,338
სრული ფინანსირება	84,293	59,936
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.76	0.73

24 გაუთვალისწინებელი გარემოებები

24.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

25 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, შშოლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი შშოლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

25.1 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

25.2 ოპერაციები მენეჯმენტთან და ახლო ოჯახის წევრებთან.

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში:

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	31-Dec-23	31-Dec-22
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	126	124
სულ ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	126	124

26 შესაღარიისი ფინანსური ანგარიშების გადანაგარიშება

მენეჯმენტმა მიმდინარე პერიოდში აღმოაჩინა წინა წლის უზუსტობა. ამ უზუსტობას გავლენა ჰქონდა 2022 წლის პერიოდის შედეგზე, შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება და მოგება/ზარალის ანგარიშგება დაკორექტირდება შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

	წარდგენილი 2022	კორექტირება	გადაანგარიშებული 12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	36,039	(52)	35,987
არამატერიალური აქტივები	134	-	134
სულ გრძელვადიანი აქტივები	36,173	(52)	36,121
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	28,194	5	28,199
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,609	(3,946)	663
გადახდილი ავანსები	423	18	441
საგადასახადო აქტივები	8,105	(7,187)	918
სხვა მიმდინარე აქტივები	81	-	81
ფული და ფულის ექვივალენტები	7,113	(28)	7,085
სულ მიმდინარე აქტივები	48,525	(11,138)	37,387
სულ აქტივები	84,698	(11,190)	73,508
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	794	-	794
სარეზერვო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი	17,476	-	17,476
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	30,546	1,783	32,329
სულ კაპიტალი	48,816	1,783	50,598.91
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	2,261	2,750	5,011
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,261	2,750	5,011
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,477	(5,068)	2,409
საგადასახადო ვალდებულებები	7,181	(7,181)	-
მიღებული სესხები	6,959	(2,632)	4,327
მიღებული ავანსები	12,004	(842)	11,162
სულ მიმდინარე ვალდებულებები	33,621	(15,723)	17,898
სულ ვალდებულებები	35,882	(12,973)	22,909
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	84,698	(11,190)	73,508

შპს „აკა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

მოგება/ზარალის ანგარიშება:

	წარდგენილი 2022	კორექტირება	შესწორებული 2022
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	131,803	149	131,952
რეალიზებული პრიდუქციის თვითღირებულება	(107,428)	2,988	(104,440)
საერთო მოგება	24,375	3,137	27,512
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,738)	(5,731)	(8,469)
მიწოდების ხარჯები	(442)	(1)	(443)
საოპერაციო მოგება	18,093	507	18,600
ფინანსური შემოსავლები	62	4	66
ფინანსური ხარჯები	(625)	(258)	(883)
არასაოპერაციო შემოსავლები	196	27	223
არასაოპერაციო ხარჯები	(1,380)	1,306	(74)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	1,159	236	1,395
სხვა საგადასახადო ხარჯები	-	(457)	(457)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	17,505	1,365	18,870
მოგების გადასახადი	(480)	453	(27)
წლის მოგება	17,025	1,818	18,843
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული მოგება	17,025	1,818	18,843

27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

შპს „აპკა“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

(ათას ლარში)

მოგება/ზარალის ანგარიშება:

	წარდგენილი 2022	კორექტირება	შესწორებული 2022
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	131,803	149	131,952
რეალიზებული პრიდუქციის თვითღირებულება	(107,428)	2,988	(104,440)
საერთო მოგება	24,375	3,137	27,512
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,738)	(5,731)	(8,469)
მიწოდების ხარჯები	(442)	(1)	(443)
საოპერაციო მოგება	18,093	507	18,600
ფინანსური შემოსავლები	62	4	66
ფინანსური ხარჯები	(625)	(258)	(883)
არასაოპერაციო შემოსავლები	196	27	223
არასაოპერაციო ხარჯები	(1,380)	1,306	(74)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	1,159	236	1,395
სხვა საგადასახადო ხარჯები	-	(457)	(457)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	17,505	1,365	18,870
მოგების გადასახადი	(480)	453	(27)
წლის მოგება/(ზარალი)	17,025	1,818	18,843
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)	17,025	1,818	18,843

27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ დაფიქსირებულა.



ხელმოწერი პირი:

დირექტორი:

**მმართველობითი ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
საქმიანობის შედეგების მიმოხილვა**

შპს „აკა“ (ს/კ 204 875 082) (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). „კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, უნივერსიტეტის ქ. #6., „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 5/4-311 და საიდენტიფიკაციო კოდი: 204 875 082.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

შპს AKA დაარსდა 1993 წელს და ის წარმოადგენს გერმანული ავტომწარმოებელი კომპანია Daimler- ის გენერალურ დისტრიბუტორს საქართველოში.

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საცალო ახალი და მეორადი მსუბუქი ავტომობილების, მიკროავტობუსების, ავტობუსების და სატვირთო ავტომობილების ყიდვა-გაყიდვა, ტექნიკური მომსახურება და რემონტი. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს სამი დამფუძნებელი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი, რომლის შენატანი ფულადი ფორმით არის განხორციელებული, შეადგენს 793,751 (შვიდასოთხმოცდაცამეტი ათას შვიდასორმოცდათერთმეტი) ლარს.

2. კომპანიის განვითარების გეგმები:

კომპანიაში დაგეგმილი ახალი პროექტები ამ ეტაპზე არ არსებობს.

კომპანიის გრძელვადიანი გეგმაა გაყიდვების მაჩვენებლის ზრდა და ამისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება, გაყიდვების პერსონალის გაზრდა ახალი გაყიდვების კონსულტანტით და ახალი მომხმარებლების მოზიდვა, შესაბამისად ახალი ბაზრის ნიშების მოძიებისათვის და სეგმენტის გაფართოების თვალსაზრისით იგეგმება კორპორატიული გაყიდვების გასაუმჯობესება.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

ჩვენს პროდუქტებზე განსაკუთრებული მოთხოვნის არსებობის გამო კომპანიამ დაიწყო აქტიურობა მარკეტინგული კუთხით და იგეგმება ბაზრის კვლევის ჩატარება. კომპანია გეგმავს სწორად და სრულად გამოიყენოს მისი ძლიერი მხარეები და უპირატესობები ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში. კომპანია გეგმავს მეტი მარკეტინგული საქმიანობის ჩატარებას და მეტი კონტაქტის დამყარებას მომხმარებლებთან მათ შესასწავლად და მუდმივად ცვალებადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი

რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი

- საკრედიტო რისკი

- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკების, პროცესებისა და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა:

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ექვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანიას გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავანსით გადახდა). საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

საბაზრო რისკი:

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი:

„კომპანია“ დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის - ევრო.

მგრძნობელობის ანალიზი:

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

5. კომპანიის სესხები:

მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება, შემდეგია:

ფულადი ერთეული- ევრო

	დასრულების თარიღი	ვალუტა	31.12.2022	31.12.2023	შენიშვნა
სს საქართველოს ბანკი 5566292	6/13/2025	EUR	882,680	550,167	გრძელვადიანი
სს საქართველოს ბანკი 4294951	3/22/2024	EUR	854,590	177,342	გრძელვადიანი
სს საქართველოს ბანკი 6117023		EUR	1,500,000	500,000	მოკლევადიანი
სულ სასესხო ვალდებულება			3,237,270	1,227,509	

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ შენობა-ნაგებობით. მიღებულ სესხზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია არაუმეტეს 8 %-სა.

მიღებული სესხი მოხმარდა კომპანიის შენობა-ნაგებობას, რომელიც ააშენა კომპანიამ.

6. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

7. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „აკა“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2023 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 30 ოქტომბერი 2024 წ.

დირექტორი:

გიორგი ტყეშელაშვილი

ნაგებობით. მიღებულ სესხზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია არაუმეტეს 8 %-სა.

მიღებული სესხი მოხმარდა კომპანიის შენობა-ნაგებობას, რომელიც ააშენა კომპანიამ.

6. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

7. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „აკა“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2023 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 30 ოქტომბერი 2024 წ.

დირექტორი:



გიორგი ტყეშელაშვილი